23/05/2024

MES 3 24 0000563738

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 1 მაისს 14:00 საათზე.** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო ) წევრები:***

**შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
**ხათუნა ჩხარტიშვილი** - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ტიტე ბოლქვაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
**გიორგი ვეკუა -** სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია** -ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
**ნატალია კვაჭანტირაძე**- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**ვალერი გულბანი -** ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი -** ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**დავით ჯინჭარაძე**- სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

***სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:***

**ნანი დალაქიშვილი -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნინო ხელაძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნონა საათაშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

***საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:***

- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- ნანა ვერულაშვილი
- ქეთევან ბოტკოველი
- თათია გივიშვილი
- ელენე ბოდაველი
- გიორგი ნაჭყეპია

***საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:***

**შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA**
დირექტორი - ია ერაძე.

**შპს მარნეულის კოლეჯი**
დირექტორი - ნინო გომელაური
დირექტორის მოადგილე ადმინისტრირების დარგში - სოფიო გომელაური

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.**
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**დღის წესრიგი:**
1. “შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132, 2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ”, პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის №508647 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს მარნეულის კოლეჯის ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს მარნეულის კოლეჯის ,,საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს მარნეულის კოლეჯის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე, განხილულ იქნა შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს 5.1 კომპონენტის გადამოწმების ფარგლებში ანგარიშის გამოთხოვასთან დაკავშირებით. დაწესებულებას ანგარიში უნდა წარმოდგინა აღნიშნული პრობლემის მოგვარების შემდეგ. (ოქმი N1248486 - 07.10.22). 2023 წლის 13 თებერვალს შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს ცენტრიდან გაეგზავნა წერილი (ცენტრში რეგისტრაციის N166964 - 13.02.23) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიშის წარმოდგენასთან დაკავშირებით, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული წერილის პასუხად, 2024 წლის 29 აპრილს შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმმა ცენტრში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის, შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებების განხორციელების ანგარიში შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. აღნიშნული დოკუმენტების გადამოწმების შედეგად არ გამოვლენილა ექსპერტთა ჯგუფის შექმნის საჭიროება. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმმა წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიმაჩნია, საბჭოს მიეწოდოს ინფორმაცია შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის, შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს მხედველობაში.

**პირველი საკითხი: „**შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132, 2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის №508647 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **დაიხ**

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ხათუნა ჩხარტიშვილს და საბჭოს წევრ ტიტე ბოლქვაძეს შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA- სთან აქვთ აცილება, ვინაიდან წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა და ტიტე ბოლქვაძემ განაცხადეს სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, საქმე ეხებოდა „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამის პარამეტრებში, კერძოდ, პროგრამის განხორციელების ფორმაში ცვლილებას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132 გადაწყვეტილების მიხედვით, აკადემიას ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვრა 60-თ. აკადემიაში ექსპერტთა ვიზიტისას ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, პროგრამისათვის საჭირო აღჭურვილობა და მატერიალური რესურსის შემოწმება განხორციელდა 60 პროფესიული სტუდენტისათვის. აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შემდეგ ხდებოდა სასწავლო საწარმოს მიერ სტუდენტთა შერჩევა, დუალური მიდგომის სწავლებისათვის. შესაბამისად, დუალური მიდგომით სწავლებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა) 15 პროფესიული სტუდენტი) არ საჭიროებდა რაიმე დამატებითი რესურსს აკადემიაში მოდულურ პროგრამაზე სწავლებისათვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილში აღნიშნულია გარემოება, რომ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსებამ, გაცილებით გაზარდა აპლიკანტთა ინტერესი. ასევე, როგორც კოლეჯი აღნიშნავდა წერილში, მათ გამოცდილებამ უჩვენა, რომ სასწავლო საწარმო მხოლოდ ერთ პროფესიულ სტუდენტს არჩევდა დუალური სწავლებით მიდგომისათვის, რაც არ შეესაბამებოდა აკადემიის მიერ პროგრამისათვის განსაზღვრულ რენტაბელობის ზღვარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ ცენტრს მიმართა თხოვნით, რომ გვეშუამდგომლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთან, რათა 2021 წელს დუალური სწავლებით მიდგომისათვის ხელოვნურად გამოყოფილი 15 ადგილი დაწესებულებას გამოეყენებინა მოდულური პროგრამის მიღების ფარგლებში და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ისევ განესაზღვროს 60 პროფესიული სტუდენტით. კოლეჯმა დამატებით წარმოადგინა ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 2018 წლის

დასაბუთება, რაც ადასტურებდა აკადემიის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი რესურსების საკმარისობას 60 პროფესიული სტუდენტისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, 60 პროფესიული სტუდენტიდან დაწესებულებას 39 აქტიური სტუდენტი ჰყავს, მას შემდეგ, რაც 2 წელია ფინანსდება „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროგრამა, მომართვიანობა გაიზარდა, თუმცა დუალურის მიმართულებით 2020 წლიდან კოლეჯი მოექცა ჩარიცხვის ახალ მოდელში. სანამ დაწესებულება ჩაერთვებოდა ზემოაღნიშნულ მოდელში, მანამდე ყველა სტუდენტი ირიცხებოდა მოდულურ პროგრამაზე. 2018 წლიდან პრაქტიკამ აჩვენა, რომ უფრო მეტი პრაქტიკოსი მასწავლებლები არიან ჩართული ამ პროგრამის განხორციელებაში, შესაბამისად მათ ყოველთვის უჭირავთ პულსზე ხელი და ზუსტად აფასებენ თუ ვინ არის კარგი სტუდენტი. მისი თქმით, დროთა განმავლობაში დუალური მიდგომით სწავლებამ დაკარგა ხიბლი და შესაბამისად ბოლო ორი წელი ფაქტიურად ვერ შეირჩა შესაბამისი კანდიდატები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თავად პროგრამის სპეციფიკა ხომ არ იყო მთავრი სირთულე დუალური ფორმით მისი განხორციელებისათვის. ასევე, რამდენად იყო სასწავლო საწარმო მზად დუალური ფორმით პროგრამის განხორციელებაში ჩასართავად და ესეც ხომ არ იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ დაწესებულებამ გადაწყვიტა მოდულურ სწავლებაზე გადასვლა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, „სასწავლო საწარმოები“ ნამდვილად მზად იყვნენ და გააზრებულად ჰქონდათ მიღებული გადაწყვეტილებაც. კოლეჯს ხელშეკრულებაში ისეთი ჩანაწერი ჰქონდა, თუკი სტუდენტი ვერ დაძლევდა პროგრამას, ან დამსაქმებელი დაინახავდა, რომ სტუდენტი ვერ ართმევდა თავს პრაქტიკულ სწავლებას, დაწესებულება დააბრუნებდა მას მოდულურ სწავლებაზე, აქედან გამომდინარე მოდულური პროგრამა უფრო საინტერესოა კოლეჯისთვის, თუმცა დამსაქმებელთან მაინც აქვთ აქტიური თანამშრომლობა დასაქმების ნაწილში. ამჟამად კოლეჯს გამოცხადებული აქვს 6 ადგილი იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაზე ჯგუფის რენტაბელობა. აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, 67 აპლიკანტია დარეგისტრირებული, რომელთაგან 55 -ს პირველ ადგილზე აქვს აკადემია მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132, 2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის №508647 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ს ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს №132, 2018 წლის 13 დეკემბრის №211, 2019 წლის 10 ივლისის №133, 2020 წლის 13 ივნისის №464693, 2021 წლის 17 ივნისის №589552, 2021 წლის 30 მარტის №303302, 2021 წლის 15 ივნისის №576701 და 2022 წლის 7 მარტის №228501, 2022 წლის 7 მარტის №227248, 2022 წლის 7 მარტის №228504 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 5 მაისის №508647 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **(დანართი 1)**. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 1 მაისი.

**მეორე საკითხი:** შპს მარნეულის კოლეჯის ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 26 თებერვლის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს მარნეულის კოლეჯში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2024 წლის 13 მარტს განხორციელდა ვიზიტი შპს მარნეულის კოლეჯში (მის: ქ. მარნეული, 26 მაისის ქუჩა №80). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

**სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

5.1.2.1. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტი (გაცემულია 18.12.2023), რომლითაც დგინდება, რომ დაწესებულების შენობაში სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა სრულად არ შეესაბამება მოთხოვნილ ნორმებს, კერძოდ, ობიექტის (შენობა-ნაგებობა) საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების, ელექტრომოწყობილობების და ელექტროქსელების მდგომარეობის შეფასება და ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობა არ იყო შესაბამისობაში. ვიზიტის დროისათვის, დაწესებულებამ, შეუსაბამო პუნქტებიდან ორის შესაბამისობაში მოყვანის მტკიცებულებები წარმოადგინა, რაც შეეხება მესამე პუნქტს, რომელიც საავარიო კარის გაღების მიმართულების შეცვლას ეხება, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების ვადად დაწესებულებამ მიმდინარე წლის ივნისი-აგვისტო განსაზღვრა და აღნიშნული საკითხი, დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად (სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი დაწესებულების 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) შპს მარნეულის კოლეჯის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში, შესაბამისი ფინანსური რესურსის მითითებით ასახა. შესაბამისად, ინდიკატორი 5.1.2.1. შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

2.2.1.2. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, სისტემაში მოიყვანოს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები საქართველოს მთავრობის №416 დადგენილების შესაბამისად, უფრო გარკვევით ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების/მემორანდუმის საგანი, რათა ჩანაწერები არ იძლეოდეს ალტერნატიული განმარტების საფუძველს, ასევე, დანართებში უფრო დეტალურად იქნას განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტზე ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი. ამასთან, გასწორდეს ხელშეკრულებებში არსებული ტექნიკური უზუსტობები.

2.2.1.3. დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, გადაანაცვლოს პროფესიული განათლების მასწავლებელი ბოტანიკის მოდულზე, ვინაიდან კოლეჯს ჰყავს კვალიფიკაციით ბიოლოგი სპეციალისტი, ამდენად მეტად მიზანშეწონილია, ბოტანიკის მოდულს ატარებდეს არა სანიტარულ-ჰიგიენის სპეციალისტი და ფარმაცევტის თანაშემწე, არამედ ბიოლოგი.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილია შემდეგი აუდიტორიები ი (9 - A გარემო), საერთო ჯამში A გარემოში შეიძლება განთავსდეს 200 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, დაწესებულებაში 3 - B გარემოა, რომლებიც საერთო ჯამში იტევს 57 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში და C გარემოსთვის გამოყოფილია ასევე 3 აუდიტორია. შენობაში განთავსებულია, ასევე, საკონფერენციო დარბაზი, ადმინისტრაციული სივრცეები, რეკრეაციული სივრცეები პროფესიულ სტუდენტთათვის და მათი მოთხოვნით გამოყოფილი სასადილო სივრცე, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, სივრცე არქივისთვის, და ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სივრცე. ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის მაგიდებით და სკამებით, დაფებით, პროექტორებით, მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. C გარემო აღჭურვილია ასევე ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით. 3 B გარემოში განთავსებულია საერთო ჯამში 57 კომპიუტერი და დამონტაჟებულია 3 პროექტორი. კომპიუტერები განთავსებულია ასევე ადმინისტრაციულ სივრცეებში, ბიბლიოთეკაში და გამოყოფილია მასწავლებლებისთვის. კოლეჯს საერთო ჯამში აქვს 77 კომპიუტერი, მათ შორის 20 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის, 15 პრინტერის აპარატი, მათ შორის 10 მულტიფუნქციური და 2 ტელევიზორი. კოლეჯში ჩატარებულია ყველა აუდიტორიის მონიტორინგი მატერიალურ რესურსთან მიმართებით და შექმნილია საბოლოო ინვენტარიზაციის დოკუმენტი. მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ასევე, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში IT ტექნოლოგიები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი. კოლეჯმა წარმოადგინა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ მოდულების განხორციელების მიზნით გამოიყენებს რამდენიმე სივრცეს: ერთი A ტიპის გარემო, ორი B ტიპის გარემო, B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი ( 7 კვირა) და A/ C გარემო. ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც არის შემუშავებული პროგრამა „ფარმაცია(სააფთიაქო)“, 8 მოდული ტარდება პრაქტიკის

ობიექტებზე. შესაბამისად, დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 6 პარტნიორ ორგანიზაციასთან: შპს „გეფასთან“, შპს „იმპექსფარმთან“, შპს «ელსტართან, შპს „კროლთან“, ი/მ ლია ჭიღლაძესთან და ი/მ ბაბაქიშევთან. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის განმახორციელებელ 12 პირთან. მათ შორის 6 არის ზოგადი მოდულების, ხოლო 6 არის პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პირი. ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. მასწავლებელთა დატვირთვის სქემების თანახმად პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუ. მასწავლებლებმა აღნიშნეს დაწესებულების ხელმძღვანელობის მზაობა მათ პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში. მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, ასევე, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, სტუდენტებს შორის იყვნენ, თუ არა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები და რამდენად კარგად ფლობდნენ ისინი ქართულ ენას.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ არიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები, რომლებიც ნამდვილად კარგად ფლობენ ქართულ ენას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დარგის ექსპერტს, განმავითარებელ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება, კერძოდ, დაწესებულებას პარტნიორებთან დადებულ ხელშეკრულებებში მატერიალური რესურსის დეტალიზაციასთან დაკავშირებით. ექსპერტების აზრით, რამდენად დეტალურად უნდა ჩაშლილიყო აღნიშნული მატერიალური რესურსი.

დარგის ექსპერტის განმარტებით, პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტები გადიან 8 მოდულს, რომელთაც სჭირდება კონკრეტული მატერიალური რესურსი, ამ რესურსში შეიძლება მოიაზრებოდეს ბავშვთა კვების პროდუქტები, რომელიც სრულად არ იყო ჩამოთვლილი ან მოვლის საშუალებები აკლდა რესურსების ჩამონათვალს, ამიტომაც გაიცა ეს რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის მიმართ.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, რამ გამოიწვია აღნიშნული ფართის ცვლილების ადმინისტრაციული წარმოების აუცილებლობა, ხომ არ ჯობდა, დაწესებულებას ჯერ სახანძრო უსაფრთხოების საკითები მოეგვარებინა და შემდეგ გადაწყვეტილიყო ფართის საკითხიც.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ფართის ცვლილება კი არ მომხდარა, არამედ კოლეჯმა ფართი დაიმატა. კოლეჯმა იცის ხარისხის ცენტრის მიდგომა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, სახანძროსთან მიწერილობის არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში ხელი არ შეეშლებოდა. მისი თქმით, აღნიშნული საგანგებო სამსახურთან ურთიერთობის პროცესი დროში გაწელილი

და არაპროგნოზირებადი აღმოჩნდა, რის გამოც კოლეჯს ფართის დამატების პროცედურები უკვე დაწყებული ჰქონდა, გაკეთებული იყო განაცხადიც და ამ პროცესში გამოიკვეთა ხარვეზები. კოლეჯი მზად არის სრულად აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები. მისი თქმით, ვიდრე სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა არ იქნება, დაწესებულება ამ ფართში სასწავლო პროცესს არ დაიწყებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, კოლეჯმა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით რიგი რეკომენდაციები გაითვალისწინა, თუმცა იყო რეკომენდაციები, რასაც გარკვეულწილად არ ეთანხმება დაწესებულება, თუნდაც მატერიალური რესურსის დეტალურ ჩაშლასთან დაკავშირებით, კოლეჯს გამოგზავნილი აქვს ხელშეკრულება, რასაც მიბმული აქვს ცალკე დანართი მატერიალური რესურსის ჩამონათვალისა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, იყო თუ არა ხელშეკრულების დანართი შესაბამისობაში მატერიალური რესურსების ჩამონათვალთან, რომელიც ჩარჩო დოკუმენტის დანართს წარმოადგენს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არსებობს სრული შესაბამისობა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ექსპერტების მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია მატერიალური რესურსის დეტალიზაციის შესახებ არარელევანტურია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯის ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მარნეულის კოლეჯის (ს/კ: 234158498) ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **( დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 1 მაისი.

**საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს მარნეულის კოლეჯში ,,ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროგრამის ფარგლებში, 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 29 აგვისტო, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა.**

**მესამე საკითხი:** შპს მარნეულის კოლეჯის ,,საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 26 თებერვლის ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - თათია გივიშვილი) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილი „ე.ა“ და“ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება შპს - მარნეულის კოლეჯში, 2024 წლის 11 მარტს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან.

**სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება**

ინდიკატორი 5.1.2.1 - იმის გათვალისწინებით, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტით (გაცემულია 18.12.2023) გამოვლენილი შეუსაბამობის, კერძოდ, საავარიო კარის გაღების მიმართულების შეცვლის საკითხი, ამ ეტაპზე კოლეჯს გამოსწორებული არ აქვს და დაგეგმილი აქვს ამა წლის ზაფხულში, ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია - სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადაში, კოლეჯმა უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის და შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური რესურსი იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. შესაბამისად პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, ბიბლიოთეკით, რეკრეაციული სივრცით. კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უძღვება პერსონალის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ პროცესებს. იგი მონაწილეობს კოლეჯის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაში. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადასტურდა, რომ მასალა-ნედლეულის მარაგებისათვის კოლეჯის ტერიტორიაზე გამოყოფილია საკეტით აღჭურვილი სათავსო, რომელზე პასუხისმგებლობაც და კონტროლიც ევალება ადამიანური რესურსის მმართველს. მასალა-ნედლეულის მარაგის შევსების მოთხოვნით იგი მიმართავს ადმინისტრაციული დირექტორს. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება სსსმ პირი, დაწესებულებაში მატერიალური რესურსების შესყიდვა ხორციელდება ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილი კომპანიებისგან. შესყიდვის პროცედურას გეგმავს, მოლაპარაკებებს აწარმოებს და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ზედამხედველობას უწევს კოლეჯის დირექტორი. ვიზიტის პერიოდში ხარისხის მენეჯერმა წარმოგვიდგინა ბოლო სასწავლო წლების სასწავლო და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის შეფასების აქტები. აქტებით ირკვევა, რომ ხარისხის მართვის სამსახური კოლეჯის 1 წლიანი სამოქმედო გეგმის მოქმედების მანძილზე ორჯერ და ან საჭიროების შემთხვევაში, რიგ გარეშე, ახორციელებს სასწავლო და მატერიალური რესურსების შეფასებას.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. იმის გათვალისწინებით, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების აქტით (გაცემულია 18.12.2023) გამოვლენილი შეუსაბამობის, კერძოდ, საავარიო კარის გაღების მიმართულების შეცვლის საკითხი, ამ ეტაპზე კოლეჯს გამოსწორებული არ აქვს და მისი განხორციელება დაგეგმილი აქვს ამა წლის ზაფხულში, კოლეჯს მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია. სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადაში უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის მოგვარება. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირებისთვის კოლეჯს ჰყავს IT მენეჯერი. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ იგი უზრუნველყოფს კოლეჯის საინფორმაციო ტექნიკური საშუალებების გამართულად მუშაობას, მათ ტექნიკურ და პროგრამულ მხარდაჭერას. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. „საექთნო განათლების“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის ბუღალტრის 2022 წლის 13 აპრილის ანგარიში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის ღირებულებას. დოკუმენტში აღწერილია კოლეჯის შემოსავლები და ხარჯები (მასწავლებლის ანაზღაურება, მასალანედლეული, ადმინისტრაციული, საკანცელარიო-საოფისე, კომუნალური, ინფრასტრუქტურისა და პერსონალის განვითარების, დიპლომების, პრაქტიკის ორგანიზებისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საექთნო განათლება“**

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გამოყოფილი აქვს: A სასწავლო გარემო, აუდიტორიაში განთავსებულია თითო-თითო კომპლექტი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის, დემონსტრირების ციფრული საშუალება - პროექტორი და დაფები. B სასწავლო გარემო და C სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯს ფართის ცვლილებასთან ერთად განაცხადი ჰქონდა გაკეთებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, კერძოდ, 150 პროფესიულ სტუდენტამდე. აღნიშნულ გარემოში განხორციელდება 2 მოდული - „ავადმყოფის მოვლა და „შინმოვლა“. კლინიკური პრაქტიკა პარტნიორ ორგანიზაციებთან - კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებებთან: - შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, , შპს ,,ბოლნისის ცენტრალური კლინიკა“, შპს ,,ჯეო ჰოსპიტალი“, ) რომელთაც ერთდროულად შეუძლიათ 90 პროფესიული სტუდენტის მიღება თვეში. ყველა ხელშეკრულებას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამის თანაგანმახორციელებელი კლინიკები ადასტურებენ მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას შესაბამის განყოფილებებში, შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 29 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე და კომპეტენციით აღჭურვილი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 16 ზოგად მოდულს, ხოლო 13 პროფესიულ მოდულს უძღვება. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სადაც გაწერილია შრომის კოდექსით დადგენილი არსებითი პირობები. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაციის ოქმებში აღწერილი პროცედურები სრულად შეესაბამება კოლეჯის მიერ განსაზღვრულ წესებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვერიფიკაციის შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე, კოლეჯში მყისიერად მიმდინარეობს მუშაობა მათი აღმოფხვრის მიზნით, რაც დადასტურდა დირექტორთან და შესაბამის პირებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი ანგარიშებით.

**ექსპერტები ადასტურებენ, რომ დაწესებულებას აქვს რესურსი, მიიღოს საექთნო განათლების პროგრამაზე 150 პროფესიული სტუდენტი.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯის ,,საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მარნეულის კოლეჯის (ს/კ: 234158498) ,,საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **( დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 1 მაისი.

**მეოთხე საკითხი:** შპს მარნეულის კოლეჯის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე ბოდაველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 26 თებერვლის MES 3 24 0000213439 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე - ელენე ბოდაველი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი; გიორგი ნაჭყეპია - დარგის ექსპერტი -"ინფორმაციის ტექნოლოგია“) დაევალა „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების „ბ.ბ“ და „ბ.დ“ კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილი „ე.ა“ და“ე.ბ“ კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს - მარნეულის კოლეჯში 2024 წლის 11 მარტს. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან.

**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

2.2.1.6 რეკომენდაცია: ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირისათვის ინდივიდუალურ გეგმაზე უარის თქმის საფუძვლები საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. კერძოდ, სასურველია გაიწეროს „სხვა გარემოებები“, რადგან თავიდან იქნას აცილებული სსსმ პირისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სარგებლობის უფლების დარღვევის შესაძლებლობა, ამასთან აღნიშნული საკითხები სტუდენტს უნდა ეცნობოს წინასწარ, პირველ საინფორმაციო შეხვედრაზე. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ სსსმ პირის სწავლის დაწყების მომენტიდან საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას, მნიშვნელოვანია ცალსახად გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის დაფინანსების საკითხი. რადგან იმ პროგრამებზე, რომელიც სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული, მაგრამ პირს სწავლის დაწყების მომენტიდან სჭირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ დაირღვეს უფასო განათლებით სარგებლობის უფლება. აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის უფლებამოსილი პირის მხრიდან ხაზგასმული იყო, რომ კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისათვის საფასური განუსაზღვროს, თუმცა ასეთი პრაქტიკისთვის არ მიუმართავთ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ იმ პირთა შემთხვევაში, რომლებიც სწავლის დაწყების მომენტიდან ისარგებლებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეს საკითხი ცალსახად გაიწეროს.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილია 9 - A გარემო და საერთო ჯამში A გარემოში შეიძლება განთავსდეს 200 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში. ასევე, დაწესებულებაში 3 -B გარემოა, რომლებიც საერთო ჯამში იტევს 56 პროფესიულ სტუდენტს ერთ ცვლაში, ხოლო C გარემოსთვის გამოყოფილია 3 აუდიტორია. შენობაში განთავსებულია ასევე: საკონფერენციო დარბაზი, ადმინისტრაციული სივრცეები, რეკრეაციული სივრცეები პროფესიულ სტუდენტთათვის და მათი მოთხოვნით გამოყოფილი სასადილო სივრცე, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა, სივრცე არქივისთვის, და ასევე უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სივრცე. ყველა სასწავლო გარემო აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის მაგიდებით და სკამებით, დაფებით, პროექტორებით (ზოგ სივრცეში სადემონსტრაციო საშუალებად განთავსებულია მონიტორები), მასწავლებლის მაგიდებით და სკამებით. C გარემო აღჭურვილია ასევე ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის

განკუთვნილი მატერიალური რესურსით. 3 B გარემოში განთავსებულია საერთო ჯამში 56 კომპიუტერი და დამონტაჟებულია 3 პროექტორი. კომპიუტერები განთავსებულია ასევე ადმინისტრაციულ სივრცეებში, ბიბლიოთეკაში და გამოყოფილია მასწავლებლებისთვის. კოლეჯს საერთო ჯამში აქვს 77 კომპიუტერი, მათ შორის 20 ადმინისტრაციის სარგებლობისთვის, 15 პრინტერის აპარატი, მათ შორის 10 მულტიფუნქციური და 2 ტელევიზორი. კოლეჯში ჩატარებულია ყველა აუდიტორიის მონიტორინგი მატერიალურ რესურსთან მიმართებით და შექმნილია საბოლოო ინვენტარიზაციის დოკუმენტი. მატერიალური ქონების ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ავტორიზაციის ვადით. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის და შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯის მატერიალური რესურსი იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. შესაბამისად პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილია სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ყველანაირი რესურსით, ბიბლიოთეკით, რეკრეაციული სივრცით. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, კოლეჯს ჰყავს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უძღვება პერსონალის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ პროცესებს. სდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. კოლეჯში IT ტექნოლოგიები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. კოლეჯმა წარმოადგინა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყარო პროფესიული სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსებაა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 16 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნულ პროგრამაზე კვოტაც 16 პროფესიული სტუდენტია. ამჟამად, დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე 17 პროფესიული სტუდენტი ჰყავს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. დაწესებულების უფლებამოსილი პირის განმარტებით თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კვოტა სრულად არ შეივსო შესაძლოა ფინანსური მდგრადობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, რაც ერთ-ერთი მოტივია აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გასაზრდელად. დაწესებულება აწარმოებს გასული წლების ფინანსური მდგომარეობის დინამიკას - საპროგნოზო ხარჯისა და ფაქტიურ შემოსავლების სტატისტიკას.

წარმოდგენილი სტატისტიკა მოწმობს, რომ საპროგნოზო ხარჯი არ აღემატება ფაქტობრივ ხარჯს. შესაბამისად, წარმოდგენილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია“**

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ კონტიგენტის განსაზღვრისათვის დაწესებულებამ გაითვალისწინა შესაბამისი გარემოსა და მისი დატვირთვის შესაძლებლობა. რის საფუძველზეც პროგრამისათვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ გათვალისწინებულია ორი A გარემო (N211 და N225) და ერთი B (N222) გარემო. კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას დაწესებულება უშვებს სწავლების დისტანციური მეთოდის გამოყენების შესაძლებლობასაც. დაწესებულების უფლებამოსილ პირთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება ორ ნაკადად გამოცხადდება, ასევე კოლეჯს აქვს პროგრამების ორ ცვლაში განხორციელების საშუალებაც, აღნიშნული გარემოებებისა და სწავლების დისტანციური კომპონენტის დაშვების გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ პროფესიულ სტუდენტთა საერთო კონტიგენტი შეიძლება განისაზღვროს 44 ადგილით. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია კოლეჯის ბაზაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც განთავსებულია შესაბამის აუდიტორიებში. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის 7 პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შემოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან პერსონალის პირადი საქმეების შესაბამისობის საკითხი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის საკითხს (მუხლი 2). კოლეჯი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ის ადაპტირებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსით საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. წესი ასევე არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმსაც, რომლის თანახმადაც, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია ითვალისწინებს გეგმის სსსმ პირთან ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების საკითხსაც. თუ დაინტერესებული პირი არ ითანხმებს ინდივიდუალურ გეგმას, დაწესებულებას ეძლევა ერთკვირიანი ვადა სსსმ პირის მოთხოვნების გასათვალისწინებლად. ინდივიდუალური გეგმის განმეორებითი შეუთანხმებლობის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია სსსმ პირს უარი უთხრას ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირისათვის ინდივიდუალურ გეგმაზე უარის თქმის საფუძვლები საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას. კერძოდ, სასურველია გაიწეროს „სხვა გარემოებები“, რადგან თავიდან იქნას

აუცილებელი სსსმ პირისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სარგებლობის უფლების დარღვევის შესაძლებლობა, ამასთან აღნიშნული საკითხები სტუდენტს უნდა ეცნობოს წინასწარ, პირველ საინფორმაციო შეხვედრაზე. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ სსსმ პირის სწავლის დაწყების მომენტიდან საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას, მნიშვნელოვანია ცალსახად გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობის დაფინანსების საკითხი. რადგან იმ პროგრამებზე, რომელიც სახელმწიფოს მიერაა დაფინანსებული, მაგრამ პირს სწავლის დაწყების მომენტიდან სჭირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ დაირღვეს უფასო განათლებით სარგებლობის უფლება. აღნიშნულ საკითხზე კოლეჯის უფლებამოსილი პირის მხრიდან ხაზგასმული იყო, რომ კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია სტუდენტს ინდივიდუალური სასწავლო გეგმისათვის საფასური განუსაზღვროს, თუმცა ასეთი პრაქტიკისთვის არ მიუმართავთ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ იმ პირთა შემთხვევაში, რომლებიც სწავლის დაწყების მომენტიდან ისარგებლებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეს საკითხი ცალსახად გაიწეროს. ამ ეტაპზე დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე სსსმ პირი არ ჰყავს. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად შესაბამისობაშია.

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგია“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში და არ საჭიროებს პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორთა ან სასწავლო საწარმოსთან ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმებას. შესაბამისად, ინდიკატორი პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით დადასტურებას არ საჭიროებს. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, როდესაც სტუდენტთა ჯგუფი უკვე დაკომპლექტდა და ახალი მიღებით 16 სტუდენტი ჩაირიცხა, ამის შემდეგ კოლეჯს მიმართა გარდამავალი სტატუსის მქონე სტუდენტმა და მოითხოვა, რომ ჩარიცხულიყო პროგრამაზე. დაწესებულებამ მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას შეკითხვით, ჰქონდა თუ არა უფლება კოლეჯს ჩაერიცხა ასეთი სტუდენტი კვოტის ზემოთ და მათ მიერ განიმარტა, რომ გარდამავალი სტატუსის მქონე სტუდენტი განიხილება, როგორც სტატუსშეჩერებული და შემდეგ წელს სტატუსშეჩერებულის სტატუსი აღდგებოდა კვოტის ზემოთ, შესაბამისად, ამ მექანიზმის გათვალისწინებით მოხდა მისი ჩარიცხვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

**გადაწყვეტილება:**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს შპს მარნეულის კოლეჯის (ს/კ: 234158498) ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება ( **დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 1 მაისი.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:47 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ